პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 62 (9981)
30 მარტი,
ხუთშაბათი,
1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიზკულტურის ავტორიტეტი

მოსწავლეები ახლა ცხოვრებიდან დემოკრატიისა და საჯაროობის გაკვეთილებსაც იღებენ. თითქმის ყოველდღე მოაქვს სარედაქციო ფოსტას მამხილებელი წერილები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. მოზარდების ხელით ნაწერ ამ ბარათებში აშკარად ჩანს, როგორ სასიკეთოდ იცვლება მათი დამოკიდებულება ფიზკულტურისა და სპორტისადმი. ისინი ვეღარ ურიგდებიან ნაკლოვანებებს. სკოლის ხელმძღვანელებისგან, მასწავლებლებისგან და, საერთოდ, უფროსებისგან მოითხოვენ მეტ ყურადღებას. ადრე ასეთი გამოცოცხლება და შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი მოსწავლეთა კონტიგენტისგან ნამდვილად არ იგრძნობოდა.

ფიზკულტურისადმი ინტერესის ესოდენ გაღვივებას, ცხადია, ხელი შეუწყო იმანაც, რომ ახლა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ფიზიკურ აღზრდაში შემოღებულია გამოცდები. მეტიც, გამოცდებს სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელებიც ჩააბარებენ. რაც შეეხება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, იქ მისაღებ გამოცდებამდე ჩატარდება აბიტურიენტთა შემოწმება ფიზიკურ მომზადებაში.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს გადაწყვეტილებები ნაადრევი იყო და დღეს მატერიალურ-სპორტული ბაზის მდგომარეობა არ იძლევა ამ სიახლის პრაქტიკულად რეალიზაციის საფუძველს. გადაწყვეტილება დროულია და სახალხო განათლების სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების მიმართ, ვინც მხარი დაუჭირა ამ სიახლეს, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. რაც შეეხება სპორტულ ბაზებს, მათს დროზე მოსაწესრიგებლად სწორედ ის უნდა გამოვიყენოთ სტიმულად, რომ ფიზკულტურა ანგარიშგასაწევ საგნად იქცა სასწავლო დაწესებულებებში. მაგრამ ბაზების მოწესრიგება კიდევ არ ნიშნავს პრობლემის გადაჭრას. სარედაქციო ფოსტა იმასაც მოწმობს, რომ ფიზკულტურისადმი დამოკიდებულების შეცვლაში არ ჩქარობენ თვით სკოლამდელი, სასკოლო და შემდგომი ინსტანციის სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელები, პედაგოგები, განათლების განყოფილებები. არადა, დრო არ ითმენს, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები და აბიტურიენტები ახლა გულმოდგინედ ემზადებიან უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელ ცალკეულ საგნებში, ფიზკულტურაზე კი ჯერჯერობით ამას ვერ ვიტყვით. ბევრი რამ, ვიმეორებთ, განათლების მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებაზეა დამოკიდებული, ცხადია, მომეცადინეთა დასახმარებლად, რაც შეიძლება დროულად უნდა მოემზადონ სპორტული ბაზებიც.

წელს პირველად ვდგამთ კონკრეტულ ნაბიჯს „საყოველთაო ფიზკულტურული განათლებისაკენ“, მაღლდება ფიზკულტურის, როგორც საგნის ავტორიტეტი, ყველა პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ამ საქმეს, რომელზეც საბოლოო ანგარიშით ერის მხნეობა და სიჯანსაღეა დამოკიდებული.

## 1 და 2 აპრილს

**1 და 2 აპრილს,** როგორც ადრე გაცნობეთ, მთელს ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართება ტრადიციული მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. გუშინ რედაქციაში რამდენიმე ცნობა მივიღეთ იმის შესახებ, სად, როგორ, ემზადებიან ჯანმრთელობისათვის მომავალი საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის ჩასატარებლად.

თბილისში ღონისძიებებს ერთობლივად გამართავენ ქალაქის სპორტკომიტეტი და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭო. დედაქალაქის ათივე რაიონის სპორტული ბაზები, კულტურისა და დასვენების პარკები და მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილები, განსაკუთრებით რიყე, დაეთმობა ყველას, ვისაც სურს ოჯახის წევრებთან, მეზობლებთან, მეგობრებთან, თუ თანაქალაქელებთან ერთად განიცადოს მოძრაობით, აქტიური დასვენებით მონიჭებული სიხარული.

**გუშინ** პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ბალაშვილმა გვაცნობა, რომ 1 აპრილს საგანგებოდ სპორტული მუშაკებისთვის ჩატარდება მძლეოსნური კროსი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭოს აპარატის თანამშრომლები, წარმოება-დაწესებულებების ფიზკულტურის ინსტრუქტორები და მეთოდისტები, სპორტული კლუბების ხელმძღვანელები და მუშაკები.

კროსი გაიმართება შაბათს, 11 საათზე მარშრუტით: რკინიგზელთა სახლი — დავით აღმაშენებლის პროსპექტი — ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. კროსში მონაწილეობა შეუძლია აგრეთვე თბილისის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებში მომუშავე ყველა მსურველს (ექიმის ნებართვით).

**გუშინ „ლელოს“ კორესპონდენტმა ლ. ქავჟარაძემ ბათუმიდან გვაცნობა:** აქ 1 და 2 აპრილს დაგეგმილია რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებები, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას. შაბათს და კვირას ასეთი ღონისძიებების ძირითადი ცენტრი იქნება სპორტული ბაზები და ქალაქის პარკი. ჯანმრთელობისათვის საყოველთაო ლაშქრობაში დამსვენებლებიც ჩაებმებიან.

**ცნობა ქუთაისიდან:** აქ შეიქმნა ღონისძიების მომზადებისა და ხელმძღვანელების შტაბი. სპორტულ სარბიელზე გამოვლენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ხალხურ თამაშებს და ყველასთვის ხელმისაწვდომ სპორტის სახეობებს. მასობრივი თავშეყრის ადგილებში გაიყიდება სპორტული ფორმა და შინ სავარჯიშო სპორტული ინვენტარი.

**დეპეშა ლაგოდეხიდან:** 1-2 აპრილს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებთან ერთად ვატარებთ რაიონის პირველობას შშდ მრავალჭიდში — სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რ. ნოზაძე.





## ახალი ტურის მატჩები

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

**28 მარტი. „უნივერსიტეტი“ (თბილისი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 116:67 (58:36). მსაჯები — მ. ქურიძე (საერთაშორისო კატეგორია) და რ. გელოვანი (საკავშირო კატეგორია.)**

**„უნივერსიტეტი“:** დვალი (22), ჯაფარიძე (21), რევაზიშვილი (17), კ. ქართველიშვილი (14), აზვლედიანი (12), კოკოლიშვილი (9), შარაძე (8), ამილახვარი (5), საყანდელიძე (4), ტურაშვილი (4).

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი:** მიქიაშვილი (14), კუტიბაშვილი (11), ხაიაური (10), სამხარაძე (9), აბზიანიძე (9), ბარამიძე (8), ჭეიშვილი (2), ცისკარიშვილი (2), იასაშვილი (2).

იხ. მე-2 გვ.

მკლავჭიდი

## ჩემპიონებიც გამოჩნდნენ



**მკლავჭიდმა** (მკლავის გადაძალვამ) ბოლო ხანს სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ეს იქნებ (ნაწილობრივ მაინც) იმის წყალობით მოხდა, რომ საქართველოს ტელევიზიამ აჩვენა ამერიკული ფილმი სილვესტრ სტალონეს მონაწილეობით. ამ კინოსურათის მხატვრულ ღირსებებს არ შევეხებით, მაგრამ გვინდა ვთქვათ, რომ მასში ნაჩვენები შეჯიბრებები მკლავის გადაძალვაში მართლაც დიდი მხატვრული ძალით არის გადმოცემული და უტყუარი ჭეშმარიტების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩვენთანაც უკვე დაიწყეს ასპარეზობების გამართვა მკლავჭიდში, ერთ-ერთ მათგანზე უკვე გიამბეთ „ლელოს“ 28 მარტის ნომერში. ეს გახლდათ შეჯიბრება სტუდენტთა გიგანტური თამაშების პროგრამით, რომელშიც გაიმარჯვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტმა 20 წლის თამაზ კურკუმულმა.

კურკუმულმა ფინალში დაამარცხა ცნობილი ძიუდოისტი ლერი ნაკანი. თუმცა ნაკანი 78 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობს, მაგრამ მკლავის გადაძალვაში მას თვით მძიმე წონის მოჭიდავეებშიც კი იშვიათად თუ გამოუჩნდება მეტოქე. ამდენად თ. კურკუმულის გამარჯვება მეტად საპატიოა.

სხვათა შორის, გამარჯვებული პირველად მონაწილეობდა მსგავს შეჯიბრებაში, იგი თავისი კოლეგის მამუკა რაზმაძის თხოვნას დაჰყვა და, როგორც ხედავთ, არცთუ ტყუილად.

ალბათ დადგება დრო, როდესაც საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატიც გაიმართება მკლავჭიდში.

**სურათზე: თამაზ კურკუმული.**



## მეორე ადგილზე... დაუმარცხებლად

**როცა** ოსტატთა გუნდებს უჭირთ, პოზიციებს თმობენ და ძველებურად ვეღარ თამაშობენ, სპეციალისტები და გულშემატკივრები განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან ჭაბუკ სპორტსმენებს — რეზერვს, რომელმაც ხვალ-ზეგ რესპუბლიკის საუკეთესო კოლექტივები უნდა შეავსოს.

გუშინ თბილისში დამთავრებულ 15-16 წლის ჭაბუკ ხელბურთელთა საკავშირო პირველობის ფინალურ ტურნირში მოასპარეზე საქართველოს გუნდის გამოსვლა უმთავრესად სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილებოდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენს გუნდში მართლაც ბევრი პერსპექტიული ხელბურთელი ვიხილეთ. ეს შეფასება, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, სპეციალისტთა აზრს ეყრდნობა.

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ზაზა დოლიძე, მწვრთნელი რევაზ ჭანტურია) აღსაზრდელებით, უმასპინძლა უკრაინის, ბელორუსიის, ლენინგრადისა და რუსეთის ფედერაციის I (კრასნოდარი) და II (ასტრახანი) გუნდებს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დაუმარცხებლად იასპარეზეს — მოუგეს უკრაინელ (30:25), ბელორუსიელ (24:21), ლენინგრადელ (27:19) და ასტრახანელ (33:24) თანატოლებს, მოაგროვეს 8 ქულა და საბოლოოდ... მეორე ადგილი დაიკავეს. საქმე ის გახლავთ, რომ ადრე ჩატარებულ ზონალურ ტურნირში ჩვენი ხელბურთელები დამარცხდნენ კრასნოდარელებთან (21:22), შემდეგ კი მათთან ერთად მოიპოვეს ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება, ასე რომ, კრასნოდარელებმა 2 „ოქროს ქულით“ დაიწყეს ფინალური ეტაპი. სწორედ ამ ორმა ქულამ გადაწყვიტა პირველი ადგილის ბედი — კრასნოდარელებმა თბილისში სამი შეხვედრა მოიგეს, ერთი წააგეს და მათაც რვა ქულა (6+2 „ოქროს ქულა“) მოაგროვეს. დებულება მეტოქეთა ფინალში შეხვედრას, ცხადია, აღარ ითვალისწინებდა და კრასნოდარელები პირველ ადგილზე გავიდნენ. 6 ქულით მესამე ადგილი დაიკავა უკრაინის გუნდმა.

ტურნირის საუკეთესო და ყველაზე ტექნიკურ მოთამაშეებად დაასახელეს საქართველოს ნაკრების წევრები ზაზა მერაბიშვილი და მერაბ უშვერიძე. მათ გარდა გუნდის ღირსებას იცავდნენ გივი ჯაფარიძე, გოჩა ხუბაევი, თემურ კინწურაშვილი, გიორგი ბარათაშვილი, კოტე კიკნაძე, ელიზბარ არსენაშვილი, კობა ვაჩეიშვილი, ოვანეს ოჰანესიანი და ალეკო ბოყოჩაძე.

● ● ●

**სურათზე: თბილისელთა გუნდი.**

**ბ. აბდუშელიშვილის ფოტო.**

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

# ახალი ტურის მატჩები

(დასასრული)

**24 მარტი. „უნივერსიტეტი“ (თბილისი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 122:82 (60:45). მსაჯები — მ. ქურიძე (საერთაშორისო კატეგორია), რ. გელოვანი (საკავშირო კატეგორია)**

**„უნივერსიტეტი“:** ახვლედიანი (24), ბერუაშვილი (24), ტურაშვილი (20), კოკოლიშვილი (19), საკანდელიძე (11), რევაზიშვილი (9), ჯაფარიძე (5), დვალი (4), შარაძე (2), კ. ქართველიშვილი (2), ამილახვარი (2).

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი:** სამხარაძე (19), აბზიანიძე (16), მიქიაშვილი (16), ხაიაური (12), ჰეიშვილი (9), ბარამიძე (2), ღვლიღვაშვილი (2), შეყრილაძე (2), იაშვილი (2), კუტიბაშვილი (2).

**23 მარტი. „დინამო“ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 80:102 (38:49). მსაჯები ზ. ზამთარაძე და ლ. ლორთქიფანიძე.**

**„დინამო“:** გვარამია (19), ჭაბუკიანი (15), ლომთაძე (12), მახარაძე (12), ბაქრაძე (8), დემეტრაშვილი (5), კახაბრიშვილი (4), გობრონიძე (3), სამნიაშვილი (2).

**„სინათლე“:** ღონღაძე (42), დათიკაშვილი (18), პ. ჩაჩხიანი (13), ძიძიგური (13), გოგიბედაშვილი (10), ჩაჩანიძე (6),

**24 მარტი. „დინამო“ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 96:97 (54:68). მსაჯები ზ. ზამთარაძე და ლ. ლორთქიფანიძე.**

**„დინამო“:** ლომთაძე (29), ბაქრაძე (18), მახარაძე (16), დემეტრაშვილი (13), გვარამია (4), შავლიაშვილი (4), სამნიაშვილი (4), მაჭავარიანი (3), ბიჭიაშვილი (3), ჭაბუკიანი (2).

**„სინათლე“:** ღონღაძე (29), ქორქია (24), დათიკაშვილი (22), ხუხაშვილი (18), პ. ჩაჩხიანი (4).

**23 მარტი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ბათუმი 124:84 (67:44). მსაჯები — გ. გრიგორიანი და ლ. ლორთქიფანიძე.**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გიორგობიანი (42), ცაგარეიშვილი (24), კოტრიკაძე (13), გოგელია (13), ჯამარჯაშვილი (12), კვეზერელი (8), გეგეშიძე (7), გაბრიჩიძე (3), ხუჭუა (2).

**ბათუმი:** დიხამიძე (18), ზოიძე (16), კოლცოვი (16), შერვაშიძე (15), ბარამიძე (12), მაისურაძე (5), ქლენტი (2).

**24 მარტი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ბათუმი 106:92 (52:41). მსაჯები გ. გრიგორიანი და ლ. ლორთქიფანიძე.**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გიორგობიანი (28), გაბრიჩიძე (25), ცაგარეიშვილი (13), კვეზერელი (14), კოტრიკაძე (10), გოგელია (10), ჯამარჯაშვილი (6).

**ბათუმი:** გ. ემირიძე (23), შერვაშიძე (21), დიხამიძე (18), ბალათურია (15), ქლენტი (6), მაისურაძე (5), ზოიძე (2), კოლცოვი (2).

**25 მარტი. „შევარდენი“ (თბილისი) — „აზოტი“ (რუსთავი) 89:83 (44:41). მსაჯები რ. გოგელია (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**„შევარდენი“:** ძიძავა (27), გაჩეჩილაძე (14), ისაკაძე (13), წულაია (13), კობახიძე (9), ცაგარეიშვილი (5), შავლოხოვი (2), რაზმაძე (2), ნუცუბიძე (2), ჩიხლაძე (2).

**„აზოტი“:** აბაშიძე (21), მიჩიაშვილი (18), გოგობერიშვილი (18), კეჭაყმაძე (16), გაჩეჩილაძე (8), ბენდელიანი (2).

**26 მარტი. „შევარდენი“ (თბილისი) — „აზოტი“ (რუსთავი) 83:88 (52:50). მსაჯები რ. გოგელია (საერთაშორისო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**„შევარდენი“:** ძიძავა (37), დონაძე (11), ნუცუბიძე (9), წულაია (7), ცაგარეიშვილი (6), ისაკაძე (5), ჩიხლაძე (4), გაჩეჩილაძე (2), კობახიძე (2).

**„აზოტი“:** გოგობერიშვილი (26), მიჩიაშვილი (21), აბაშიძე (16), კეჭაყმაძე (10), არაბული (8), გაჩეჩილაძე (5), ძინძიბაძე (2).

**25 მარტი. ქუთაისი — სოხუმი 55:66 (27:29) მსაჯები — რ. გელოვანი (საკავშირო კატეგორია) და ი. მელაძე (რესპუბლიკური კატეგორია).**

**ქუთაისი:** გოგსაძე (19), გუბელაძე (11), აფრიდონიძე (8), ბაკურია (8), ხაბულიანი (6), კირთაძე (3).

**სოხუმი:** სუშჩენკო (17), სახვაძე (14), კ. ბალათურია (13), სულავა (11), ჭოლოკავა (6), ზარქუა (5),

**26 მარტი. ქუთაისი — სოხუმი 68:49 (39:33). მსაჯები რ. გელოვანი (საკავშირო კატეგორია) — ი. მელაძე (რესპუბლიკური კატეგორია).**

**ქუთაისი:** გოგსაძე (20), გუბელაძე (18), წულაძე (12), ხაბულიანი (10), ბაკურია (4), აფრიდონიძე (2), კირთაძე (2).

**სოხუმი:** სუშჩენკო (15), სულავა (13), კ. ბალათურია (11), ჭოლოკავა (4), სახვაძე (4), ნ. ბალათურია (2).

როგორც ვიუწყებოდით, წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატში არ მონაწილეობენ თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდის წევრები. ეს დანაკლისი მწვავედ განიცადა ქუთაისის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ვერ გამოდიან დარსაძე, ძმები ვაშაკიძეები, კორძაძე და ანდღულაძე. ამის მიუხედავად ქუთაისელებმა კარგად დაიწყეს ჩემპიონატი და ჯერჯერობით სოხუმელებთან ერთად ჯგუფში მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ.



**გათამაშების ცხრილები**

**I ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პოლიტექ. ინსტ. | 4 | 4 | 0 | 8 |
| „სინათლე“ | 4 | 3 | 1 | 7 |
| ბათუმი | 4 | 2 | 2 | 6 |
| ფიზკ. ინსტ. | 2 | 1 | 1 | 3 |
| „მართვე“ | 2 | 0 | 2 | 2 |
| „დინამო“ | 2 | 0 | 2 | 2 |
| ჭიათურა | 2 | 0 | 2 | 2 |

**II ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი | 4 | 4 | 0 | 8 |
| ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 7 |
| სოხუმი | 4 | 3 | 1 | 7 |
| „აზოტი“ | 4 | 1 | 3 | 5 |
| „შევარდენი“ | 4 | 1 | 3 | 5 |
| სახ. სამ. ინსტ. | 4 | 0 | 4 | 4 |

# საქართველოს სპორტსახკომში

**კოლეგიის** მორიგ სხდომაზე, რომელიც გუშინწინ გაიმართა, განიხილეს საკითხი „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილებიდან გამომდინარე მცხეთის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ“. სხდომაზე დასახელებული ფაქტები მოწმობს, რომ მცხეთის რაიონში, მიუხედავად რესპუბლიკურ კომპლექსურ სპორტულ ღონისძიებებში მოწინავე პოზიციისა, მთლიანობაში არ იგრძნობა მუშაობაში სისტემატურობა და მასობრიობა, შესუსტებულია სპორტკომიტეტის მაკოორდინირებელი როლი, ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში კვლავ მძლავრობს უწყებრივი ინტერესები, სპორტული ბაზები არ არის დატვირთული, კულტურულ-სპორტული კომპლექსის საქმიანობაც კი ძირითადად რაიონის ფეხბურთელთა გუნდის მეურვეობით ამოიწურება. ქ. მცხეთაში არ არსებობს არც ერთი მარტივი სპორტული მოედანი საცხოვრებელ ადგილებში, არ ინერგება მოსახლეობის ფასიანი მომსახურება. რაიონმა დათმო პოზიციები მისთვის ისეთ ტრადიციულ სახეობებში, როგორიცაა ჭიდაობა, სპორტული თამაშები და, განსაკუთრებით, ნიჩბოსნობა, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სანიჩბოსნო ბაზაზე გაიხსნა სპორტული ინვენტარისა და ავტომანქანების შეკეთების უბანი, რომელიც ფაქტობრივად ავტოპროფილაქტორიუმია (ამ ფაქტთან დაკავშირებით „ლელო“ ფოტობრალდება გამოაქვეყნა). კოლეგიაზე ცნობად იქნა მიღებული, რომ ავტოშემკეთებელი უბანი გააუქმა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ, ბაზის დირექტორს თ. ალიბეგაშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსის მოადგილეს ო. კვანტალიანს — საყვედური.

სუსტი ხელმძღვანელობისა და ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შეუსრულებლობისათვის კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის კოლეგიამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ა. ბერიძეს. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარის ე. გულბათაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა დაევალა ამ საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს.

მიღებულ დადგენილებაში გათვალისწინებულია ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. კოლეგიამ ამასთან დაადგინა, რომ კოლეგიის წევრები უახლოეს დღეებში ეწვევიან მცხეთის რაიონს და ადგილობრივ ხელმძღვანელებთან ერთად გადაწყვეტენ მთელ რიგ საკითხებს.

რესპუბლიკაში ნიჩბოსნობის მდგომარეობა ბოლო წლებში შემაშფოთებელია. კოლეგია ამჯერად დაუბრუნდა გასული წლის 27 თებერვალს მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხს, გააანალიზა წამოჭრილი პრობლემები, დაისვა საკითხი სანიჩბოსნო ცენტრებში სპორტული სკოლებისა და ბაზების იმგვარი რეორგანიზაციის შესახებ, რომ ისინი ცალ-ცალკე უწყებრივ ორგანიზაციებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ ერთ საქმეს ემსახურებოდნენ. ამ საკითხზე საბოლოო წინადადებების შესამუშავებლად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელშიც კოლეგიის წევრებიც შევიდნენ.

უკვე გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარების „ერთიანი ინდუსტრიის“ შესაქმნელად. კოლეგიამ გააანალიზა წამოყენებული წინადადებები და მხარი დაუჭირა სტრუქტურის გარდაქმნას, რაც ითვალისწინებს მძლეოსნობის სპორტული სკოლების, მწვრთნელების, სპორტული ბაზების, სპორტის ამ სახეობასთან დაკავშირებული ყველა რგოლის გაერთიანებას და ხელმძღვანელობის კოორდინაციას.

1988 წლის 6 დეკემბერს, როგორც ადრე ვიუწყებოდით, სპორტსახკომის კოლეგიამ იმსჯელა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდის მზადების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხზე. ამჯერად კოლეგია დაუბრუნდა მაშინ მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას. ინფორმაციით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე გ. თალაკვაძე. აღინიშნა, რომ სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა სერიოზული დასკვნები გააკეთეს კოლეგიაზე გამოთქმული შენიშვნებიდან, დადგენილების შესრულების მიმდინარეობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

კოლეგიის ამ სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხები, დაამტკიცეს ნომენკლატურული მუშაკები.

# ბათუმელთა წარმატება

**უკანასკნელ** წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აჭარის სპორტსახკომის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ბადმინტონისტთა სექცია, რომელსაც სათავეში უდგას გამოცდილი და არაერთი მაღალი კლასის ოსტატის აღმზრდელი ვიქტორ მალიუტინი. მისმა აღსაზრდელებმა თავი ისახელეს ახლახან არხანგელსკში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის 25 ქალაქის, შვეციისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები — სულ 250 გოგონა და ჭაბუკი. მონაწილენი ორ ასაკობრივ ჯგუფში გამოდიოდნენ.

1974 წელს დაბადებულ გოგონებისა და ჭაბუკების ერთეულთა თანრიგში ტურნირის გამარჯვებულნი გახდნენ ბათუმის 24-ე საშუალო სკოლის IX კლასელები რეგინა არამიანი და არტურ ხაჩატურიანი. ორივე სპორტსმენი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრობის კანდიდატია.

1976 წელს დაბადებულ ჭაბუკების წყვილთა თანრიგში თავი ისახელა ბათუმელმა დუეტმა (ვიქტორ მალიუტინ (უმცროსი)-ალბერტ ოვანესიანმა). მან ყველა შეხვედრა საგრძნობი უპირატესობით მოიგო და ტურნირის უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა.

**ლევან ქავთარაძე.**

ბათუმი.

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

# „წესრიგის დამცველი ... წესრიგის დამრღვევი“

გაცნობებთ, რომ ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა 1989 წლის 25 იანვრის სხდომაზე განიხილა „ლელოს“ 1989 წლის 11 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „წესრიგის დამცველი... წესრიგის დამრღვევი“, რომელიც შეეხებოდა ყვარლის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ხელმძღვანელობის 60-ბინიანი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ მოედანზე შექმნილ მდგომარეობას და კრიტიკა სამართლიანად სცნო.

შემოწმებით დადგინდა, რომ ყვარლის „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საუწყებო 8-ბინიანი სახლის ოთხმა ოჯახმა, რომელთა შორისაც იყო ყვარლის შს რაიონული განყოფილების მუშაკი, მილიციის მაიორი ზ. ბუთიაშვილი, საკუთარი სახსრებით ბინაში მოიწყო აბაზანა და ტუალეტი, რომლებიც მიაერთეს ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე მათ მიერ უნებართვოდ ამოთხრილ ორ საკანალიზაციო ჭას. ამ დროისათვის კრიტიკულ წერილში ხსენებული სპორტული მოედანი არ არსებობდა, იგი გაკეთდა 1984 წელს. 1988 წელს ის საკანალიზაციო ჭა, რომელზეც მიერთებული იყო ზ. ბუთიაშვილის ბინა, შეივსო და იქიდან გადმოსულმა ფეკალურმა სითხემ სპორტულ მოედანზე იწყო გაჟონვა. ამის შემდეგ ყვარლის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე მიმართა ყვარლის „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციას, წესრიგში მოეყვანა 8-ბინიანი სახლის კანალიზაცია, მაგრამ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია.

კრიტიკულ წერილში აღნიშნული ფაქტი — თითქოს მობინადრე ზ. ბუთიაშვილმა სპორტული მოედნის ასფალტი გადათხარა — სინამდვილეს არ შეეფერება. ეს მოიმოქმედა ყვარლის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ხელმძღვანელობამ იმ მოტივით, რომ საკანალიზაციო ორმოდან გამომავალი ფეკალური ნაკადი მილებით გაეყვანა ყვარლის სკოლა-ინტერნატის საკანალიზაციო ქსელამდე.

ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის დავალებით, ყვარლის „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლის ეს საკანალიზაციო ორმო მიაერთა ქალაქის საკანალიზაციო ქსელს.

ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, კომუნალურ საწარმოთა კომბინატს დაევალა 15 აპრილამდე აღადგინოს სპორტული მოედნის დაზიანებული საფარი, ხოლო 1989 წლის განმავლობაში მოახდინოს სპორტული მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე თვითნებურად აშენებული სათავსოების აღება და მათ ნაცვლად ახალი ტიპიური სათავსოების აშენება მობინადრეთა ხარჯზე.

ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა 8-ბინიანი საუწყებო სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო ჭის თვითნებურად, უნებართვოდ გაკეთებისათვის, რამაც შემდგომში გამოიწვია სპორტული მოედნის გაბინძურება, ყვარლის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების გამომძიებელი ზაქარია ბუთიაშვილი მკაცრად გააფრთხილა.

**ა. გაგაშელიშვილი,**
ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ კიკნაძის სახსოვრისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირზე ძიუდოში დიდი წარმატება მოიპოვეს ქართველმა მოჭიდავეებმა. 18 მათგანი ფინალში გაპარულმა. ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ ჩემპიონთა ფოტოები, ახლა კი გთავაზობთ დანარჩენი ხუთი ფინალისტის ფოტოსურათებსაც, რომლებმაც ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. მარცხნიდან: ზვიად დემეტრაშვილი (58 კგ), რამაზ ზედგენიძე (57), ირაკლი უზნაძე (75), ვალერი კიბორძალიძე (90) და დავით შელიძე (მძიმე წონა). მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება მესამე პრიზიორების ფოტოსურათები.



# არის საფეხბურთო კლუბი „ტორპედო"



**პროფესიული** ფეხბურთი ქუთაისსაც ეწვია... ამ დღეებში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში — სრულ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობას შეუდგა საქალაქო საფეხბურთო კლუბი, რომლის დაფუძნებისთვის სათანადო მუშაობა გასწია საორგანიზაციო კომიტეტმა.

დამფუძნებელ I საქალაქო კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საორგანიზაციო კომიტეტი საფუძვლიანად გაეცნო სამეურნეო ანგარიშზე მყოფი უმაღლესი და I ლიგის საფეხბურთო კლუბების სტრუქტურას და მათი მუშაობის გამოცდილების საფუძველზე შედგა ქუთაისის საფეხბურთო კლუბის წესდების პროექტი, რომელიც საყოველთაო განხილვისთვის გამოქვეყნდა საქალაქო გაზეთებში.

იგი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ფეხბურთის შემდგომ განვითარებას ქუთაისში, „ტორპედოს" ოსტატთა გუნდის წარმატებით გამოსვლას საკავშირო სარბიელზე, კოლექტივის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, საწვრთნელ-გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის საჭირო პირობების შექმნას, სპორტის ამ სახეობის პროპაგანდას, ნიჭიერი ფეხბურთელების შერჩევასა და აღზრდას, ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის შემდგომ პოპულარიზაციას, რეზერვების მომზადებას.

საფეხბურთო კლუბი „ტორპედო" არის სამეურნეო ანგარიშიანი იურიდიული პირი, რომელიც აერთიანებს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს, ფეხბურთელთა ბაზას, სპორტკომბინატსა და საფეხბურთო სპორტულ სკოლას. ამდენად გუნდი მთლიანად ქალაქის საკუთრებას წარმოადგენს.

დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს საქალაქო საფეხბურთო კლუბის შექმნა და ხმების აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცეს კლუბის წესდება. ასევე ერთხმად დაამტკიცეს კლუბის საბჭოს შემადგენლობა 69 კაცის შემადგენლობით, რომელშიც შევიდნენ ქალაქის მოწინავე ადამიანები, ვეტერანი ფეხბურთელები, გულშემატკივრები.

კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს ემელიანე გორდაძე, რომელიც საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის" პროფკომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტია შოთა სანიკიძე, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი — ბადრი ფარულავა.

კონფერენციაზე ყურადღება გაამახვილეს გუნდის სახელის შეცვლაზე. აღინიშნა, რომ წინადადებები ბევრია, კამათი, აზრთა გაზიარება გრძელდება და საჭიროების შემთხვევაში საკითხი კვლავ დადგება დღის წესრიგში.

დასასრულ, კლუბის შექმნის მნიშვნელობაზე, „ტორპედოს" მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა, მანვე პასუხი გასცა გულშემატკივართა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე.

უკვე გადაიდგა პირველი კონკრეტული ნაბიჯები. კლუბის სპონსორმა — საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გუნდის ანგარიშზე გადარიცხა 500 ათასი მანეთი, 50 ათასი მანეთი შეიტანა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა, 40 ათასი მანეთი — უალკოჰოლო სასმელების კომბინატმა, ხოლო ავტოქარხნელებმა კლუბს უსასყიდლოდ გადასცეს ძვირად ღირებული სპორტული ბაზა და მისი აღჭურვილობა.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დიდთოვლობისგან დაზიანებული ცენტრალური სტადიონის კაპიტალური რემონტი, სადაც სისტემატურად შაბათობებს აწყობენ საბჭოს, პრეზიდიუმის წევრები, გულშემატკივრები, სხვადასხვა საწარმოო-დაწესებულებათა წარმომადგენლები.

გამოქვეყნდა კონკურსი კლუბის ემბლემის, დროშის ესკიზების შესაქმნელად, გამარჯვებულთათვის დაშვებულია ფულადი პრემიები.

დღითიდღე მატულობს კლუბის წევრების რიცხვი, მოზრდილთათვის დაწესებულია 10 მანეთი, სტუდენტ-ახალგაზრდობისთვის —3 მანეთი, ხოლო მოსწავლეთათვის 1 მანეთი. მათთვის გათვალისწინებულია გარკვეული შეღავათები.

ქუთაისის „ტორპედოს" მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი ჰყავს ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში. ამიტომ თუ გსურთ გახდეთ კლუბის სრულუფლებიანი წევრი, „ტორპედოს" ნამდვილი გულშემატკივარი, გაგაცნობთ კლუბის ანგარიშის ნომერს: 60994 — ბინსოცბანკის ქუთაისის განყოფილება.

**თამაზ ხარაბაძე.**

**(„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი).**

# ბოლო შეხვედრა გადაწყვეტს

ამ დღეებში სტარტი აიღო ოლიმპიური რეზერვებისა და ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობამ, რომელშიც 1970-71 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობენ.

თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში გამოდის შარშანდელი პირველობის გამარჯვებული თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდი. იქ მასთან ერთად ასპარეზობენ რიგის, სამარყანდის, დუშანბეს და მასპინძელი ქალაქის გუნდები. კარგად დაიწყეს შეჯიბრება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა (მწვრთნელი გ. გვანცელაძე). მათ თანმიმდევრულად დაამარცხეს რიგის — 1:0, სამარყანდის — 2:0 და დუშანბელი თანატოლები —5:1.

ახლა ჩვენს გუნდს 6 ქულა აქვს სამი თამაშიდან და ბოლო შეხვედრაში მასპინძელთა კოლექტივს ხვდება, რომელსაც ამდენივე ჩატარებული მატჩიდან 4 ქულა აქვს. შეგახსენებთ, ქვეჯგუფში გამარჯვებული ერთი კოლექტივი ფინალურ ეტაპზე განაგრძობს ბრძოლას.

ანალოგიური ასპარეზობის ერთ-ერთი წინა ტური გუშინ ჩვენს დედაქალაქშიც დაიწყო, სადაც თბილისის „ნორჩ დინამოელთან" ერთად იბრძვიან ბაქოს, გროზნოს, კლაიპედასა და ლენინგრადის გუნდები. შეჯიბრება 4 აპრილამდე გასტანს.

# სტატისტიკოსებს!

ვარ ფეხბურთის სტატისტიკოსი, გამოწერილი მაქვს „ლელო", თავს ვუყრი ყველაფერს, რაც კი დაკავშირებულია ფეხბურთთან, იქნება ეს კალენდრები, წიგნები, პროგრამები, სამკერდე ნიშნები, ბუკლეტები, ვიმპელები თუ სხვა რამ.

თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ საქართველოში მცხოვრებ სტატისტიკოსებს: ორმხრივი გაცვლის პირობებზე გთხოვთ დაამყაროთ ჩემთან ურთიერთობა და გამომიგზავნოთ ყველაფერი, რაც ფეხბურთს შეეხება, სამაგიეროზე არ დაგზარდებით.

ჩემი მისამართია: 252055, კიევი, გამარჯვების პროსპექტი 30, ბინა №57, ხოროშუნი ალექსანდრე ივანეს ძე.

## შეჯიბრება მინიფეხბურთში

საფრანგეთის ქალაქებში მიმდინარეობს ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში.

სსრ კავშირის ნაკრებმა ნახევარფინალში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ესპანეთის თანატოლთა გუნდი და ფინალში შეხვდება ბელგიის გუნდს.

⊙ ფეხბურთი

# შვიდი ადგილი დაჯავშნულია

**ეს ინტერვიუ არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს კარლოს ბილარდოს ჟურნალისტებმა ამას წინათ ჩამოართვეს. გთავაზობთ საუბრის ტექსტს მცირედი შემოკლებით.**

**● რა არის სამხრეთ ამერიკული ფეხბურთის ყველაზე მწვავე პრობლემა?**

— ფეხბურთელთა ექსპორტი. ახლა ევროპაში გადადიან არა მარტო წამყვანი ქვეყნების (არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი) წარმომადგენლები, არამედ პარაგვაელები, ჩილელები, კოლუმბიელები... თუმცა ჩვენ ამას უკვე შეჩვეულნი ვართ, 1982 წლიდან ევროპაში სათამაშოდ გადავიდა არგენტინის ნაკრების 35 ფეხბურთელი.

**● ახალი თაობის რომელ სამხრეთამერიკელ მოთამაშეებს გამოჰყოფდით?**

— პირველ ყოვლისა ბრაზილიელ ჯეოვანის და რომარიოს, რომლებმაც გაიბრწყინეს სეულის ოლიმპიადაზე. შემდეგ არგენტინელებს სენსინის, ტროლიოს, კანიჯიას, ურუგვაელ მატოსას და პერდომოს, კოლუმბიელ რედინს...

**● ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში, ევროპის მსგავსად გამარჯვებულს პენალტების სერიით ავლენენ. თქვენი აზრი ამის შესახებ?**

— როგორც მაყურებელი კმაყოფილი ვარ, გულშემატკივრები სტადიონზე გამარჯვების სანახავად მოდიან. პენალტები მატჩებს დრამატიზმს მატებს. როგორც მწვრთნელი წინააღმდეგი ვარ ამგვარი ლატარიის. ხშირად ერთი არაზუსტი დარტყმის გამო აშკარად ძლიერი გუნდი აგებს აუტსაიდერთან. ეს უსამართლობაა.

**● ზოგიერთი სპეციალისტი სინანულით იხსენებს წარსულს, თვლის, რომ ფეხბურთმა დაკარგა ძველებური მიმზიდველობა...**

— ვერ დაგეთანხმები მათ. შეიძლება ახლა აღარ იგრძნობა ძველებური სილაღე, მაგრამ შეუდარებლად გაიზარდა მოთამაშეთა მომზადების საერთო დონე, ტექნიკური თუ ტაქტიკური ოსტატობა. „ესტუდიანტესში" ჩემი ყოფილი თანაგუნდელები, რომლებიც თავის დროზე მაღალი კლასის ოსტატებად ითვლებოდნენ, დღეს ალბათ ძირითად შემადგენლობაშიც ვერ მოხვდებოდნენ.

**● რა არის თქვენი მთავარი საზრუნავი?**

— თანამედროვე ფეხბურთში ნებისმიერი მეტოქის დასამარცხებლად საჭიროა მისი სისუსტის ცოდნა, ამისათვის კი გუნდში ყველა რგოლი უმაღლესი დონის ფეხბურთელებით უნდა იყოს დაკომპლექტებული.

**● 1990 წლისათვის რაიმე ახალ სისტემას ხომ არ ამზადებთ?**

— გამარჯვებისათვის საჭიროა თანამზრახველთა კოლექტივის შექმნა. რაც შეეხება სისტემას, რაიმე კონკრეტულზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევად მიმაჩნია. მსოფლიო პირველობაზე ყველა გუნდი თავისი „გამარჯვების სისტემით" მიემგზავრება, ამიტომაც რაიმე „უტყუარ" კონცეფციაზე ლაპარაკი უაზრობაა. 24 სისტემიდან მხოლოდ ერთი იმარჯვებს.

**● თქვენ დაცვითი ფეხბურთის მიმდევრად გთვლიან...**

— დიახ, რატომღაც ასეთი აზრია გამეფებული. სინამდვილეში კი, ყველა გუნდი, ვისაც ვწვრთნიდი, მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა. როცა კოლუმბიის „დეპორტივო კალიში" გადავედი სამუშაოდ, იქაურმა პრესამ გამოაცხადა: ჩამოვიდა ანტიფეხბურთის მოციქულიო. ორი სეზონის განმავლობაში ჩემმა გუნდმა შესაბამისად 120 და 115 გოლი გაიტანა, „კოპა ლიბერტადორესის" ფინალში გავიდა. მექსიკაში არგენტინამ ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, ნუთუ ესაა დაცვითი ტენდენცია?

**● ვის დაეყრდნობით მომავალ ჩემპიონატში?**

— გაფართოებულ შემადგენლობაში შვიდი ადგილი „მექსიკელებს" დაეთმო. ესენია: პუმპიდო, რუჯერი, მარადონა, ბურუჩაგა, ბატისტა, ჯუსტი, ენრიკე. მათ გარდა გარკვეულ იმედებს ვამყარებ ახალგაზრდებზე. გუნდში დაბრუნდებიან: რამონ დიასი, კალდერონი, ბარბასი და კლაუსენი.

**● თქვენი აზრით თუ შეძლებს არგენტინა მსოფლიო ჩემპიონობის შენარჩუნებას?**

— იმის მიხედვით, რაც ევროპის შარშანდელ პირველობაზე ვნახე, იმედი მაქვს, ყოველ შემთხვევაში, ვვარაუდობთ ოთხეულში მოხვედრას.

**● ვინ იქნება ფავორიტი 1990 წელს?**

— ჰოლანდია, იტალია, ბრაზილია და არგენტინა. სიურპრიზი შეუძლიათ შემოგვთავაზონ ურუგვაიმ და ესპანეთმა.

**(საქ. კორ.).**



## უცხოეთის საფეხბურთო მოედნებზე

**როცა** გფრ-ის თასის მფლობელ ფრანკფურტის „აინტრახტს" ბუნდესლიგის დატოვება დაემუქრა, კლუბის მესვეურებმა საშველად ცნობილ სპეციალისტს პალ ჩერნაის მიმართეს. მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილ მწვრთნელს უნდა გამოესწორებინა მდგომარეობა. ამისათვის მას კონტრაქტის ვადაც განუსაზღვრეს 1991 წლამდე. მაგრამ მოხდა ისე, რომ 3 თვის მუშაობის შემდეგ ჩერნაი გააძევეს. ახლა ფრანკფურტელებს იორგ ბერგერი ავარჯიშებს. მასაც გრძელვადიანი ხელშეკრულება დაუდეს, თუმცა ბოროტი ენები უკვე ასახელებენ ახალ მემკვიდრეს. ესაა „ციურიხის" მწვრთნელი ჰანს-პეტერ ბონგარტცი.

**ურუგვაელი** მცველი ჰუგო დე ლეონი მსოფლიოში ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც სამჯერ მოიპოვა საკონტინენტთაშორისო თასი. ორჯერ 1980 და 1988 წლებში მან ეს მონტევიდეოს „ნასიონალში" შეძლო, 1983 წელს კი ბრაზილიის „გრემიოს" შემადგენლობაში.

**როდესაც** გუნდის მიერ 12 მატჩში გატანილი 10 გოლიდან 9 ერთი მოთამაშის ანგარიშზე მოდის, იგი უმალვე ყურადღების ცენტრში ექცევა. მით უმეტეს, თუ ლაპარაკია ნაკრებში ნაჩვენებ შედეგზე, ვინ არის ეს ბომბარდირი? ვან ბასტენი? მარადონა? კარეკა? სანჩესი? ლინეკერი? — არა და არა. მისი სახელი ფეხბურთის სტატისტიკოსებმა თუ იციან. 25 წლის კარმელ ბუსუტილი მალტის ნაკრებში თამაშობს. ზემოთ მოყვანილი ციფრები კი 1988 წელს ეხება.

ჭადრაკი

# ახალი რეიტინგები

**ფიდე-ს** შტაბ-ბინამ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ახალი საერთაშორისო რეიტინგები. გაგაცნობთ დაწინაურებულ დიდოსტატთა შედეგებს. ფრჩხილებში მითითებულია სხვაობა ნახევარი წლის წინანდელ შედეგებთან განსხვავებით.

**ქალები:** იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) — 2555 (+190), მაია ჩიბურდანიძე — 2520 (—35), ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) — 2510 (+20), ნანა იოსელიანი; პია კრამლინგი (შვეცია) — 2480-2480 (—15; +55), ნონა გაფრინდაშვილი — 2435 (—20), ელენა ახმილოვსკაია, ირინა ლევიტინა — 2400-2400 (—30; +10), ქეთევან არახამია, ანა ახშარუმოვა (აშშ) — 2395-2395 (—10; —5), ელენა ზაიაცი — 2380 (+150), ნანა ალექსანდრია — 2375 (—30), ელიშკა რიხტროვა (ჩეხოსლოვაკია) — 2370 (0), მარტა ლიტინსკაია, ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — 2365-2365 (—35; 0), ნინო გურიელი — 2350 (—15) ...ქეთევან კახიანი — 2295 (+45).

**ვაჟები:** გარი კასპაროვი — 2775 (+15), ანატოლი კარპოვი — 2750 (+25), ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 2650 (—15), ალექსანდრე ბელიავსკი, ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 2640-2640 (—15;—5), ვასილი ივანჩუკი — 2635 (+10), ვალერი სალოვი — 2630 (+5), ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 2625 (—5), ულფ ანდერსონი (შვეცია), ჯონ ნანი (ინგლისი) — 2620 2620 (—5; —5)... ზურაბ აზმაიფარაშვილი — 2560 (+20).

# ოთხეული — ცნობილია

**ქუთაისში** დამთავრებულ I ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკურ პირველობაში 16 მონაწილეს შორის იყო ორი გოგონა — თეა ლანჩავა და სოფიკო ნიკოლაძე, რომლებმაც შესაბამისად 6 და 5 ქულა მოაგროვეს.

უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს რომან სიჭინავამ — 11,5 ქულა, ნუკრი მანაგაძემ — 11, დავით ლობჟანიძემ და დავით პაქსაშვილმა — 10,5-10,5.

# მასპინძლებმა ყველას აჯობეს

**ბოლო** წლებში გურჯაანში ფეხი მოიკიდა ჭადრაკმა. იგი წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდება რაიონში, რა თქმა უნდა, დიდ მიღწევებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობებზე გურჯაანელი მოჭადრაკეები ბევრისთვის უკვე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ, ხოლო თავის ზონაში — აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში — გუნდი ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ახლახანს გურჯაანში ჩატარებულმა მოსწავლეთა რესპუბლიკურმა ზონალურმა ტურნირმა, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოს ექვსი საჭადრაკო კოლექტივი მონაწილეობდა. გურჯაანელებმა ალმავლობით ითამაშეს და დამაჯერებლად სძლიეს მეტოქეებს — ჯერ თელავისა და სიღნაღის გუნდებს მოუგეს ერთნაირი ანგარიშით — 6:0, შემდეგ საგარეჯოს გუნდი დაამარცხეს — 4:2, მერე კი ბოლნისის და რუსთავის თანატოლებს დაამარცხეს ფარხმალი — 5:1-5:1: როგორც ვხედავთ, თვით რუსთავის ტრადიციულად ძლიერმა გუნდმაც ვერაფერი გააწყო მასპინძლებთან და თავის ძირითად მეტოქესთან ისეთი ანგარიშით წააგო შეხვედრა, რომ საბოლოოდ ნახევარფინალში ვერ გავიდა. ამ ეტაპზე გასასვლელი მეორე საგზური საგარეჯოელ მოჭადრაკეებს დარჩათ.

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
**„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.**

# გოგონები — საუკეთესონი

**ცხინვალში** დამთავრდა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობის ზონალური ტურნირი ჭადრაკში (აღმოსავლეთის III ზონა).

თითოეულ გუნდში ოთხი ჭაბუკი და ორი გოგონა გამოდიოდა, რომელთა ასაკი 16 წელს არ აღემატებოდა.

შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით, 7 ტურად გაიმართა, მონაწილეობდნენ გორის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურის, ახალციხის, კასპის, ახალქალაქისა და გორის რაიონის მოჭადრაკეები.

31,5 ქულით I ადგილი დაიკავა გორის ნაკრებმა. 29 ქულით II ადგილზე ხაშურის გუნდი გავიდა. 24-24 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და გორის რაიონის მოსწავლე მოჭადრაკეებმა.

აღსანიშნავია გორელი მოჭადრაკეების ანა დათუაშვილისა და თათია მჭედლიძის კარგი თამაში, მათ ყველა შეხვედრა მოიგეს და პირველი ადგილები დაიკავეს გოგონათა I და II დაფებზე.

გორისა და ხაშურის ნაკრებმა გუნდებმა რესპუბლიკური გუნდური პირველობის ნახევარფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

**ოთარ დოლიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

# ...და დიდოსტატის ბალები

**ნიუ-იორკის** მოჭადრაკე ვაჟთა ღია ჩემპიონატში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, 7 ქულით გაიმარჯვა ამერიკელმა დიდოსტატმა ჯონ ფედოროვიჩმა. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს ლევ პოლუგაევსკიმ, ჰელგი ოლაფსონმა (ისლანდია), ერიკ ლობრონმა (გფრ) და ბორის გულკომ (აშშ). 6-6 ქულა მონაწილეთა დიდ რაოდენობას ჰქონდა. მათ შორის ვასილი სმისლოვს, ედუარდ გუფელდს, ოლეგ რომანიშინს, სერგეი დოლმატოვს, მიხეილ გურევიჩს, ალექსეი დრეევსა და ვლადიმირ ეპიშინს. აღსანიშნავია, რომ დრეევმა მეორედ, ხოლო ეპიშინმა პირველად შეასრულეს საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა.

ჭაბუკთა საკავშირო პირველობა წყალბურთში

# ნახევარფინალში — „ოქროს“ ქულების გარეშე

**თბილისში,** მოსკოვში, ხარკოვსა და ყაზანში გაიმართა ჭაბუკ (1971-72 წლებში დაბ.) წყალბურთელთა საკავშირო პირველობის წინასწარი შეხვედრები, რომლებშიც რესპუბლიკურ პირველობებში გამარჯვებული გუნდები მონაწილეობდნენ.

ამ ეტაპზე თითოეული გუნდის ამოცანა იყო თავის ქვეჯგუფში საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა, რაც ნახევარფინალის საგზურს იძლეოდა.

როგორც ვიუწყებოდით, თბილისში, ვაკის საცურაო აუზში სასპარეზოდ ჩამოვიდნენ მოსკოვის „იუნოსტის“, ლენინგრადის „ბალტიკას“, კიევის „დინამოს“, ტაშკენტის „მეხნატისა“ და გორკის „ტრუდის“ გუნდები, რომლებსაც დინამოელები მასპინძლობდნენ.

წყალბურთის გულშემატკივრებს უკვე ვაცნობეთ, რომ, თბილისელებმა პირველ შეხვედრაში სძლიეს „მეხნატს“, მოსალოდნელი იყო, რომ ისინი, დანარჩენ შეხვედრებსაც ალმავლობით ჩაატარებდნენ და ნახევარფინალში ეგრეთ წოდებული „ოქროს“ ქულებით შევიდოდნენ.

მართალია, თბილისელებმა მთავარ მიზანს მიაღწიეს, ნახევარფინალში გავიდნენ, მაგრამ საერთო ჯამში უფერული თამაშით გაგვაწბილეს. მათ მოიგეს მხოლოდ ერთი მატჩი გორკელებთან — დანარჩენი კი წააგეს. თბილისელთა მიერ ძლეული გორკელი და ტაშკენტელი წყალბურთელები ნახევარფინალში ვერ გავიდნენ, ამდენად, მასპინძლები იმ „ოქროს“ ქულების გარეშე დარჩნენ.

ნახევარფინალური შეხვედრები მაისის შუა რიცხვებში გაიმართება და გვინდა იმედი დავიტოვოთ, რომ თბილისელები ახალ ტურს უკეთ მომზადებულნი შეხვდებიან.



# სეზონის გახსნის წინ

**1989 წლის** საგაზაფხულო-საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნის წინ ქ. თბილისის დოსააფი 2 აპრილს აწყობს საჩვენებელ ასპარეზობებს სპორტის ტექნიკურ სახეობებში. გთავაზობთ ამ მეტად საინტერესო შეჯიბრებების ჩატარების ადგილებსა და დროს:

***ავიასამოდელო სპორტი*** — ვარკეთილი-3 დასახლების I მიკრორაიონში 11-დან 13 საათამდე გაიმართება „საჰაერო ბრძოლა“ და საკორდო და საპილოტაჟო მოდელების ასპარეზობები.

***საავტომობილო სპორტი*** — კარტინგისტების რბოლაც ვარკეთილი-3 დასახლების I მიკრორაიონში გაიმართება 13-დან 15 საათამდე.

***სასამსახურო მეძაღლეობა*** — „საზღვრის დამრღვევის დაკავება“. ეს შეჯიბრებაც ზემოთ დასახელებულ სარბიელზე გაიმართება 10.30-დან 11 საათამდე.

***ავტოსამოდელო სპორტი*** — რიყის ტერიტორიაზე 11-დან 12 საათამდე ერთმანეთს შეეჯიბრებიან ელექტროსამართავი მოდელებით მოასპარეზე სპორტსმენები, 12-დან 14 საათამდე კი — საკორდო მოდელებით მოასპარეზენი.

***საავტომობილო სპორტი*** — ასევე რიყეზე, 12.30-დან 14.30 საათამდე გაიმართება ასპარეზობა სლალომსა და სპრინტში.

***სამოტოციკლეტო სპორტი*** — მოტოკროსმენებს 12-დან 16 საათამდე უმასპინძლებს „მზიურის“ პარკი. შეჯიბრება გაიმართება მდინარე ვერეს ნაპირას მდებარე ჩოგბურთის კორტებთან.

***სასროლო სპორტი*** — პროფტექგანათლების დოსააფის რაიკომების ნაკრები გუნდების საქალაქო შეჯიბრებები გაიმართება დოსააფის კიროვის რაიკომის სასროლ ტირში 10-დან 15 საათამდე.

# ვანის რაიონის ტრასებზე

**ვანი** ამ ბოლო დროს ველოსიპედისტთა პოპულარული ასპარეზი გახდა. ამ დღეებში აქ ჩატარდა 1972-1973 და 1974-1975 წწ დაბადებულ გოგონათა საკავშირო პირველობა, რომელშიც სპორტსაზოგადოებების, ქალაქებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ოლიმპიური მომზადების ცენტრების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. საქართველოს ღირსებას ოლიმპიური მზადების ცენტრის — „ივერიის“ წარმომადგენლები იცავდნენ და უნდა ითქვას, რომ მათ კარგი მომზადება და მზარდი ოსტატობა გამოავლინეს.

პირველ წარმატებას რესპუბლიკის ველოსიპედისტებმა კრიტერიუმში მიაღწიეს, რომელიც რკალურ ტრასაზე ჩატარდა (6 წრე, 24,6 კილომეტრი), ქობულეთელი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) ნატალია სამბაშიძე ფინიშთან მეორე იყო, რუსთაველი (ისიც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებიდან) ინა კირიანოვა კი მეოთხე. გამარჯვება პროგრამის ამ სახეობაში ლატვიელ ევერიტა რომულეს ხვდა წილად.

ჩატარდა, აგრეთვე, ორი ჯგუფური რბოლა 30 კილომეტრიან დისტანციაზე. გამარჯვება ვანის რაიონის რკალურ ტრასაზე — 54,49,0 (მეორე ადგილზე ნიკოლაეველი ო. ლევიცკაია გავიდა, მესამეზე—სვერდლოვსკელი — მ. ხაიხიევა) ისე როგორც ვანი-მაიაკოვსკის მონაკვეთზე სამბაშიძემ მოიპოვა — 58.45,0 (აქ მეორე ქუთაისის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენელი ნატალია მსხილაძე იყო — 59,03,0, მესამეზე კი — ო. ლევიცკაია — 59.06,0).

საქართველოს ველოსიპედისტთაგან კიდევ ერთი საპრიზო ადგილი (მესამე) დაიკავა ლაგოდეხელმა ია გაგნიძემ (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) უფროსი ასაკის გოგონათა რბოლა-კრიტერიუმში (9 წრე, 39,6) მან 10 ქულა დააგროვა (პირველ ადგილზე აქ მოსკოველი ე. მაქსიმოვა იყო, მეორეზე — ყაზახეთის წარმომადგენელი ე. ნეჩაევა).

პროგრამის სხვა ორ სახეობაში ე. ნეჩაევამ იმარჯვა (ჯგუფურ-რკალური რბოლა 50 კილომეტრზე) — 1:26,35 და ჯგუფურ რბოლაში 40 კილომეტრზე — 1:11.30.

არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ვანის რაიონისა და ქალაქ წყალტუბოს მესვეურნი, რომლებმაც ყველა პირობა შეუქმნეს მონაწილეებს შეჯიბრების ნორმალურად და მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. დიდი მუშაობა გასწიეს, აგრეთვე, ვანის რაიონის, წყალტუბოს, ქუთაისისა და სამტრედიის სახელმწიფო ავტოინსპექციის წარმომადგენლებმა და მედპერსონალმა, რომელიც აღნიშნულ შეჯიბრებას ემსახურებოდა.

# მოჭიდავეთა საერთაშორისო...

**ბუდაპეშტი.** როგორც ვიუწყებოდით, უნგრეთის დედაქალაქში ჩატარდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გურამ მოდებაძემ (71 კგ), მასთან ერთად გამარჯვება საბჭოთა კავშირის კიდევ ორმა წარმომადგენელმა დაისაკუთრა — ვიაჩესლავ გუსაროვმა (60 კგ) და ვიტალი ბუდიუკინმა (86 კგ).

მძიმე წონაში მეორე და მესამე საპრიზო ადგილები შესაბამისად წილად ხვდათ ალექსანდრე ტარასოვს და იური პარშინს. აქ უძლიერესი უნგრელი იშტვან დუბროვსკი იყო. ტატამის მასპინძლებმა კიდევ ორ წონაში გაიმარჯვეს: 65 კგ-ში ატილა ფარკაშმა და 78 კგ-ში — იშტვან საბომ. ქვემძიმე წონაში ტურნირის ჩემპიონი გახდა მონგოლეთის წარმომადგენელი აბდაგ ბალჟიანი.

**ბონი.** თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა ათლეტებმა სამი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს (სულ ჩვენი მოჭიდავეები 7 წონაში გამოდიოდნენ).

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: მინსკელი კამალუტდინ აბდულ დაუდოვი (57 კგ), მახაჩყალელი ნასირ გაჯიხანოვი (74 კგ) და გროდნოელი არავატ საბეევი (100 კგ).

მეორე ადგილები ლვოველ მიხეილ კუშნირსა (52 კგ) და მახაჩყალელ ვაგაბ კაზიბეკოვს (82 კგ) ხვდათ, მესამე ადგილზე კი ასევე მახაჩყალელი პახრუდინ სალიბეკოვი (68 კგ) გავიდა.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე**

„სპორტპროგნოზი“, მე-15 ტირაჟის პროგრამა (8-9 აპრილი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 8.IV | 80 | 10 | 10 |
| 2. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) | 9.IV | 50 | 30 | 20 |
| 3. „პამირი“ (დუშანბე) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 9.IV | 20 | 60 | 20 |
| 4. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (მინსკი) | 9.IV | 70 | 20 | 10 |
| 5. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 9.IV | 50 | 30 | 20 |
| 6. „შახტიორი“ (დონეცკი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 9.IV | 70 | 20 | 10 |
| 7. „არარატი“ (ერევანი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) | 9.IV | 20 | 60 | 20 |
| 8. „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 9.IV | 80 | 10 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 9. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) | 9.IV | 60 | 30 | 10 |
| 10. ასკ (როსტოვი) — „დაუგავა“ (რიგა) | 9.IV | 50 | 30 | 20 |
| 11. „ნეფტჩი“ (ბაქო) — ცსკა | 9.IV | 20 | 40 | 40 |
| 12. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (სტავროპოლი) | 9.IV | 80 | 10 | 10 |
| 13. „კაირატი“ (ალმა-ათა) — „გურია“ (ლანჩხუთი) | 9.IV | 70 | 20 | 10 |

სპორტის სასახლესთან არსებული შემოქმედებითი გაერთიანება „მეტეხი-89“ 1, 2 და 3 აპრილს სპორტის სასახლეში ატარებს კონცერტს:

„გახსოვდეს! შენი სამშობლო საქართველოა...“

ისრაელში საგასტროლოდ გამგზავრების წინ — მღერის
ოთარ რამიშვილი

კონცერტში მონაწილეობენ სხვადასხვა ჟანრის მსახიობები.

დასაწყისი: 1 აპრილს 20 საათზე, 2 აპრილს 16 და 20 საათზე, 3 აპრილს 20 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში. მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზეც.

ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონებით: 36-01-55, 36-20-54, 36-00-81, 36-00-31.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10406